

კიკნაძე 1996: კიკნაძე ზ. *ქართული მითოლოგია*, I. ქუთაისი: „ჯვარი და საყმო“, 1996.

კიკნაძე 2009: კიკნაძე ზ. *ანდრეზები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები*. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. N103. ანატორის საყმო გვ. 103-104.

მარუშკო 1894: Марушко М. „Из области народной фантазии и быта“. *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*, вып. XVIII, Тф.: 1894.

მინდაძე 1981: მინდაძე ნ. *ქართული ხალხური მედიცინა*. თბილისი: 1981.

სახოკია 1956: სახოკია თ. *ეთნოგრაფიული ნაწერები*. თბილისი: 1956.

უქმური (ავი სული): უქმური (ავი სული). [http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A3%E1%83%9F%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_\(%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98\)](http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A3%E1%83%9F%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_(%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98))

ფიფია 1988: ფიფია ლ. „მასალები სამეგრელოს ხალხური მედიცინის ისტორიიდან („ნაქამა“)“. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*. III. თბილისი: 1988.

ჯანაშვილი 1894: Джанашвили М. „Абхазия и абхазцы (этнографический очерк)“. *Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества*, т. XVI. Тф., 1894.

Ketevan Elashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The idea of the Black Death in the Fiction

Summary

Georgian literature has one unusual feature – it reserves the right of artistic silence in relation to the fatal disease.

Edgar Allan Poe’s “Red Mask of Death” is just such a fierce pandemic illustration, but with a very mystical character.

It evokes a shocking feeling of excruciating emotion – the “red death march to the country”, from which any attempt to divert itself is in vain.

The “horror chain” is created with a virtual gradation of colors, where the symbolic collision of different, irrelevant tones in the “pandemic labyrinth” will lock the reader and find him in the face of the “red death”.

Key words: Pandemic, Edgar Allan Poe, Red death, Colors.

ქეთევან ელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქამიანობის მხატვრული საზრისი

„ჩემი ცხოვრება ახირებაა, ვნებაა,
წყურვილია მარტოსულობის –
სიძულვილი, მიუღებლობა აწმყოსი
და მხოლოდ მგზნებარე მოლოდინია მომავლის...“
ედგარ პო

ქართულ მწერლობას ერთი უჩვეულობა ახასიათებს „ფატალური სენის“ მიმართ (იგულისხმება პანდემია)* – მხატვრული დუმილის უფლებას იტოვებს. ამას თავისი საინტერესო ახსნა ეძებნება; სავარაუდოდ, ადამის მოდემის ეს „ბედისმდევარი“ არხსენების მიღმა უნდა დარჩენილიყო, რადგან ჩვენსავით მცირე ერს შიშისა თუ სასოწარკვეთის უფლება არ ჰქონდა. ეს ტენდენცია აისახა კიდევ მხატვრულ აზროვნებაში. ამიტომაცაა გაკვრით ნახსენები ქოლერის ეპიდემია XIX საუკუნეში. გამონაკლისია, მხოლოდ ვაჟაფშაველა, რომელიც 1892 წელს დაწერილ მოთხრობაში – „ხოლერამ მიშველა“ (ბერუას ნაამბობი) ბუნების უმთავრეს კანონზომიერებას გვახსენებს – აპოკალიფსური ცნობიერების ქამს, ცხოვრება შეიძლება სრულიად ახალი ფურცლებიდან დაიწყოს.

ამ თემატიკით, მხატვრული ლიტერატურისაგან განსხვავებით, საკმაოდ მრავლისმთქმელია ცხოვრების თვითდინებაზე

* მათალია, „პანდემია“ XX საუკუნის სახელდებაა, მაგრამ თავისი არსით ისეთივე უძველესია, როგორც თავად კაცობრიობის ისტორია (ქ.ე.).

აღმოცენებული ქართული ფოლკლორი. ასევე მრავალ კითხვას ბადებს პანდემიის ქართული შესატყვისი – ჟამიანობა, რომელიც თავისი არსით მრავალშრიანია; ის ერთგვარად უკურნებელ სენტა ტაბუირებული განზოგადებაა, ადამიანთა ნებისაგან ასხლეტილი დროა, დამზაფრავი რეალობაა ერთ ჟამად „შეკრული“, რომელიც ბედისწერისეული შეუცნობლობით გვატყდება თავს.

ჩვენს ეთნოცნობიერებას სრულიად ემიჯნება პანდემიის აღქმა მსოფლიო მწერლობაში. ამიტომაც, რომ არაერთი ლიტერატურული შედეგრი შეიქმნა ამ ეპოქალური განსაცდელისაგან თავის დასაღწევად თუ სულის მოსათქმელად. ედგარ პოს „წითელი სიკვდილის ნიღაბი“ სწორედ ამგვარი მძაფრი პანდემიური ილუსტრაციაა,^{*} – ოღონდ, ფრიად მისტიკური სახისმეტყველებით. აქ დამზაფრავი ემოციის შემამრწუნებელ განცდას ბადებს – „ქვეყნად წითელი სიკვდილის შემმუსრავი ბოგინი“... (პო 1982: 95), რომლისგანაც თავის განრიდების ყოველგვარი მცდელობა ამაოა. „თავზარდაცემი ჩიხი“ ფერთა ვირტუალური გრადაციით იქმნება, სადაც განსხვავებულ, შეუსაბამო ტონალობათა შეჯახება „პანდემიურ ლაბირინთში“^{**} აღმოაჩენს მკითხველს... სამწუხაროდ, ედგარ პოსათვისაც ცხოვრება მეტნაკლებად ამგვარი ლაბირინთი იყო. რადგან ეს სამყარო მისთვის ადრეული ბავშვობიდან იქცა პირქუშად მდუმარე. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მან შეგრძნებათა თუ ასოციაციათა დონეზე, უბადლო მისტიკური ინტუიციით, ცხოვრების „ეზოთერიკული ბილიკი“ თავად შეიგნო და მხოლოდ ამ გზით იწყო სვლა. „სინამდვილეში ედგარ პო ხშირად იყო ირეალურის იმ ზღვარზე, საიდანაც შეიძლება მხოლოდ შემოქმედებითი ხედვით დაფიქსირდეს ყოველდღიურ სიმშვიდეში დაგმანული დრამები და გაუსაძლისი – შენიღბული ტანჯვა“ (ზვერევი 1983: 26).

ამგვარივე ტენდენციებით „კითხულობდა“ ის საკუთარ ცხოვრებასაც და „ასე შეიძლება ითქვას: პო სიცოცხლეს შემოქმედე-

* 1882 წელს ბალტიმორში ქოლერის ეპიდემიამ იფეთქა, რაც აისახა კიდევ მის მოთხრობებში: „წითელი სიკვდილის ნიღაბი“ და „მეფე ჟამი“, რომელთაც აერთიანებს ჟამიანობის მისტიკური განსახოვნება.

** „მსოფლიომ ჟამიანობის იმდენი შემთხვევა იცის, რამდენი ომიც გადახდენია. მაგრამ შავი ჭირიცა და ომებიც მოულოდნელად აცხრება თავს ადამიანებს“ (კამიუ 1988: 34).

ბას სწირავდა მსხვერპლად. მან მოკვდავის ხვედრი სიკვდილს-შემდგომ მომავალს ანაცვალა... მან სიკვდილისა და შეშლილო-ბების სიმბოლოებით ისარგებლა, რათა სიცოხლისადმი თავისი შიში გადმოეცა; იგი აუცილებლად მიიჩნევდა, წიგნებში სიცოცხლის მშვენიერება დაეხატა, რათა კიდევ უფრო გაესვა ხაზი იმ საშინელებისათვის (სიკვდილისა და შიშისთვის), რომელიც ანგრევდა ამ სიცოცხლეს. სიმბოლოები ამსუბუქებდნენ მის გრძნობას; საბრალო პოსთვის თავად არსებობის ფაქტი იყო საშინელება“ (ბორხესი 2001: 29). ბორხესისეული „საშინელებათა ჯაჭვი“ კიდევ უფრო გამძაფრდება თუ ამ აზრთა დინებას სიღრმისეულად მივყვებით, რადგან „წითელი სიკვდილის ნიღაბში“ „მხატვრული სპირიტუალის“ ნიშნებიც გამოიკვეთება. აქ, ჩვენდა უნებურად დამზაფრავ რეალობაში აღმოვჩნდებით, რომლისგანაც თავის დასაღწევად არ კმარა მარტოოდენ „შეუვალ მონასტერში გამოკეტვა...“ (პო 1982: 95), არამედ დაუვიწყარი მასკარადის მოწყობაცაა საჭირო. არადა, ამ ხელოვნურმა სპექტაკლმა არათუ ვერ ჩააცხრო სიკვდილის ავისმომასწავებელი შიში, პირიქით, მთელი ძალით გაამძაფრა და ერთგვარ სამიზნედ აქცია ნიღბებს“ მიღმა მიმალული ადამიანები. ამ შემთხვევაში ქრესტომათიული ნიღაბი აფართოებს თავის მხატვრულ დიაპაზონს და გვევლინება, როგორც ილუზორული უხედველობის ამბივალენტური სიმბოლო. მაგრამ მისტიკური პულსაციისთვის ეს არ კმარა და ამიტომაც „შავი ხის საათი“^{***} იწყებს თავზარდამცემ ბგერათა გამოცე-

* ედგარ პოსთან სიკვდილის ყოვლისმომცველი დიაპაზონია – „მიხედნენ, წითელი სიკვდილი ყოფილიყო თურმე. ბნელი ღამის ქურდით შემოპარული აქ. ერთიმორეს მიყოლებით ეცემოდნენ მოსიერენი, სისხლის ღვარი დადგა სამხიარულო პალატებში. და ყოველს იქ დაელია სული, სადაც დაცემულიყო. უკანასკნელ მოქვიფესთან ერთად შავი ხის საათიც გაეყარა სიცოცხლეს. დაიშრიტა სინათლე. ყველგან გამეფდა სიბნელე, ხრწნილება და წითელი სიკვდილი“ (პო 1982: 100).

** ნიღბის სახისმეტყველება თავისი არსით მისტიკურია; „ნიღაბს ფანტასტიკური და ჯადოსნური შესაძლებლობა აქვს – ნიღაბამოფარებული ადამიანი სხვა პერსონაჟად გარდაისახება და თავს უფლებას ამღვეს მოიქცეს ისე, როგორც არასდროს არ მოიქცეოდა უნიღბოდ“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2012: 8).

*** საათი თავისი სიმბოლური ბიოგრაფიით სიკვდილის „ზნეს“ ერთგვარად ითავისებს... (აბზიანიძე, ელაშვილი 2012: 23-24).

მას, რომელიც უხედველ შავ დარბაზში ერთგვარ ჟამისწერად გარდაისახება. კედლის საათის ისართმეტყველების საბედისწერო ექომ ედგან პო სიკვდილის უძველეს განსხეულებასთან – სისხლისფერთან დააბრუნა, რადგამ ამ ტონალობაში გაცილებით უკეთ იკვეთება სიცოცხლის ჩახშობის დინამიკა. თუმცა წითელი ფერის სიმბოლურ ბიოგრაფიაში (რადა თქმა უნდა – შესატყვისი ტონალობის გათვალისწინებით...) ცხოველმყოფელობის ჯანსაღი ამოფრქვევაც ხდება. საერთოდ, ფერდაფერ^{*} გაცილებით მძაფრად აღიქმება მთელი სამყარო, მით უფრო თუ მათ იდუმალებით მივანიჭებთ სიღრმეს, როგორც ამას ჩადის ედგარ პო. მაშინ ფერი, როგორც კალაპოტში მოქცეული წყლის ნაკადი, სრულიად განსხვავებულ იმპულსს იძენს. სიტყვად ქცეული მთლიანად იპყრობს მხატვრულ დიაპაზონს და მას გაცილებით სახიერს ხდის. ამგვარ „ფერს“ აქვს თავისი „ხმა“, „მიმართულება“, „სურნელი“ და თქვენ წარმოიდგინეთ – „სუნთქვაც“ კი. ასეთ კვალს ტოვებს სწორედ „წითელი სიკვდილი“, რომლის ილუზორული ნიღაბიც ვერ აფერმკრთალებს „სიკვდილის შემზარავ ზნეს“,^{**} რაც მარადიულ თანმდევად ექცა ედგარ პოს. ის ჯერ კიდევ უხსოვარ ბავშვობაში შეიჭრა მის ცხოვრებაში – „გააქრო“ დედა და „წაშალა“ მესხიერებიდან. წითელი ფერის მისაკუთრებაში სიკვდილი ამბივალენტურია; ქრესტომათიული წითელი ფერი სისხლისფერში განშტოვდება – ესაა ახლადამომსკდარი, ნედლი სისხლის ფერი თუ მძიმე, ბლანტი, შედედებული. ისინი არა მარტო ფერთან გრადაციით არ შეესიტყვებიან ერთმანეთს, არამედ სიკვდილის კლასიფიკაციითაც. მაგრამ „წითელმა სიკვდილმა“ თავისი განაჩენი სისრულეში რომ მოიყვანოს, საჭიროა ფერდაფერ შეივსოს და ისე გადაადგილდეს შვიდივე პალატაში – დარბაზში. ფაქტობრივად, ეს სიმბოლური

* ფერთამეტყველების გარეშე ჩვენი სამყარო სრულიად პირქუში იქნებოდა. ფერთა სიმბოლიკა – (აბზიანიძე, ელაშვილი 2012: 77-88).

** თუმცადა არსებობს პრეისტორიული შრეც: სიკვდილის მისტიკური შიში აქ იმდენად თავზარდამცემია, რომ მიცვალებულს, რომელიც ყოველგვარი სიმბოლოების გარეშე თავად განასახიერებს ამ სიკვდილს, ყოველი შემთხვევისათვის, მკერდს შუბით უპობენ, თავის ქალაში ლურსმნებს არჭობენ. ცხედარს საგულდაგულოდ კოჭავენ, ხოლო საფლავს ან ქვებით ავსებენ, ან უზარმაზარი ლოდებით გმანავენ... (აბზიანიძე, ელაშვილი 2012: 55).

საფეხურებია, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანია თავად ფერთა რიგითობა და მათი არსობრივი შეჯერება ერთმანეთთან.

პირველი დარბაზი ქართულ თარგმანში ცისფერია, არადა ორიგინალში კლასიკური ლურჯია. სახისმეტყველებითი აღქმით, – სწორედ ლურჯი ფერიდან, „მომხიბლავი არაარსიდან“ უნდა დაიწყოს „წითელმა სიკვდილმა“ ფეხდაფეხ თუ ფერდაფერ სვლა და საბოლოოდ, შავ ფერში უნდა შთაინთქას – „აბსოლუტურ არაარსში“ გაუჩინარდეს... იქამდე კი – ჯერ „მეწამულია“, სადაც იმპულსსა თუ გზნებას იძენს. მაგრამ სიკვდილს უფრო მეტი თავდაჯერებულობა, სიმშვიდე თუ ტრადიციული მიწიერება ესაჭიროება, რაც მხოლოდ „ბალახისფერიდან“ მოედინება. თუმცა, ესეც არ კმარა – სიკვდილი კიდევ უფრო მეტი გამომსახველობით უნდა შეივსოს, რომ წარუშლელი ეფექტი მოახდინოს. ამიტომაც ეწაფება ის „ნარინჯისფერის“ ცეცხლოვან აალებას, თუმცა ამასთანავე – შიშის, შეუცნობლობის სიცარიელის „კვალაც“ უნდა რომ დატოვოს. ეს კი მხოლოდ თეთრი ფერის უსიცოცხლობაშია დაგმანული. მაგრამ სიკვდილის ყველაზე დიდი გამოცანა მაინც მის იდუმალებაშია ჩადირული, რომელიც „ისფერის“ მისტიკურ ელფერშია საძიებელი. დაბოლოს – სავსებით ლოგიკურად, „შავი ფერის“ შემოსვლა „პანდემიურ ავანსცენაზე“. ის ხომ სრულიად უხვედველია და საზარი, როგორც თავად სიკვდილი.

ფერთა უჩეულო იმპულსსა თუ ვნებათაღელვას ჩაჭიდებული ედგარ პო სიკვდილს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა, რადგან ფერი ავტორისათვის ის „ემოციური აკორდი“ იყო, რომლის აღებითაც ქტონური სამყაროს ავისმომასწავებელ „სუნთქვასაც“ კი შეიგრძნობდა. ოღონდ, ამ „მხატვრული ეზოთერიზმის“ შესაცნობად „სიმბოლოთა ენის“ ვირტუოზული ცოდნა იყო საჭირო.

სწორედ ამ დილემის წინაშე აღმოჩნდა ლამის მთელი XX საუკუნე, რადგან მარტოოდენ რომანტიკულმა სულისკვეთებამ სრულყოფილად მაინც ვერ ჩამოაყალიბა სახისმეტყველებითი ცნობიერება. ამიტომაც იყო, რომ ედგარ პო თავისი ეპოქის მსოფლხედვას ვერ ესადაგებოდა. თუმცა აქვე ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ – ედგარ პოს შემოქმედებითი გზნება სცილდება არა მარტო რომანტიზმის, არამედ ნებისმიერი ლიტერატურული მიმდინარეობის თვალსაწიერს და სრულიად

დამოუკიდებელ მისტიკურ ბმულს ქმნის, უჩვეულობის „ზედა ნიშნულით“.

ეს ტენდენციები მთელი თავისი სიცხადით თავს იყრის სწორედ „წითელი სიკვდილის ნილაბში“, რომელსაც დღეს „პანდემიურ ლაბირინთში“ აღმოჩენილი მსოფლიო საზოგადოება, როგორც თანამედროვე განსაცდელის მეტყველ ნარატივს ისე კითხულობს. რადგან, თავის დროზე, – ედგარ პომ მარტოოდენ ფერთა გამით როდი გახადა „ჟამიანობის სიკვდილი“ სახიერი, არამედ უფრო მეტი გამომსახველობისთვის მას „ნილაბიც“ კი მოარგო.

თუმცაღა, დღევანდელმა რელობამ „როლები“ ერთგვარად შეცვალა და პოსტული „პანდემიური დრამაც“ გადასხვაფერდა; დღეს როგორც „სიკვდილი“, ასევე თავად „პანდემიაც“ კი „უფერო“, „უსუნო“ და „უნილბოა“. სამაგიეროდ, თავად ადამიანებმა „დაკარგეს სახე“ და უკვე მთელი მსოფლიო შეეზარდა „ნილბებს“.

აღბათ, ამგვარი ზეცნობიერებისა თუ ზეხედვის გამო იყო ედგარ პო საკუთარი ეპოქიდან გამევეებული, რადგან მარტოოდენ თავისუფლების ბოზოქარ სტიქიას ემორჩილებიდა.

დამოწმებანი:

აზზიანიძე, ელაშვილი 2012: აზზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. *სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „ბაკმი“, 2012.

ბოდლერი 1910: Бодлер Ш. Эдгар По. *Жизнь и творчество*. Одесса: 1910.

ბორხესი 2001: ბორხესი ხ. ლ. *ედგარ ალან პო*. ჟურნ. არილი, №4. 2001.

ზვერევი 1983: Зверев А. *Предисловие – Вдохновенная математика Эдгара По*. Сборник. На англ. яз. Сост. Е. К. Нестерова. Москва: издательство „Радуга“, 1983.

კამიუ 1983: კამიუ ა. *შავი ჭირი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1988.

პო 1982: პო ე. *17 მოთხრობა*. ინგლისურიდან თარგმნა, ბოლოსიტყვა და შენიშვნები დაურთო ზაურ კილამემ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982.

* თუმცა იმავე XIX საუკუნეშიც არსებობდნენ „რჩეული ავტორები“, რომელთაც ედგარ პოს უჩვეულობაში მისი სიდიადე შეიცნეს. ერთ-ერთი ამგვარი ავტორი იყო სწორედ შარლ ბოდლერი. ბოდლერმა ვირტუოზულად თარგმნა რა ედგარ პოს ნაწარმოებები, ამასთანავე შექმნა „მელანქოლიით დაღდასმული“ მისი ლიტერატურული ბიოგრაფია. Ш. Бодлер. Эдгар По. Жизнь и творчество. Одесса. 1910.